ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია

№ 4-11/р 1969-19

"23" 10 2019 წ.

დადგენილება №000661
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

23.10.2019წ. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ გიორგი გეჯაძემ განვიხილე, 2019 წლის 23 ოქტომბრის №000661 შემოწმების აქტი „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ", შედგენილი შ.პ.ს. **„FRANCE-PLAST"-ის** (ს/ნ 401953748; მის: ქ. თბილისი, ლუბლიანის ქ. №18/20 (ნაკვ. 15/084)) მიმართ, საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის „ა" პუნქტის „ა.ბ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და **გამოვარკვიე:**

ქ. თბილისში, სანდრო ეულის ქუჩისა და ვაჟა-ფშაველას გამზირის გადაკვეთის მიმდებარედ (ნაკვეთი №7/15), ს/კ №01.14.05.007.015-ზე, შ.პ.ს. „FRANCE-PLAST"-ის მიერ, განხორციელდა კომერციული ობიექტის (ოფისები, კაფეტერია) მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 3 აპრილის №1820703 ბრძანებით (№3974315 22.05.2018წ.) შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: ნაწილობრივ შეცვლილია ტერიტორიის კეთილმოწყობა, ტერიტორიაზე მოწყობილი მოპირკეთებული ფილა ნაწილობრივ სცდება საკადასტრო საზღვარს. საპროექტო ნახაზში მონოლითური კედლები არ არის აღნიშნული განსხვავებული დაფერვით. ნაწილობრივ შეცვლილია ფასადების მოპირკეთება, მასალა და ფერი. კიბის უჯრედში ნაწილობრივ შეცვლილია საფეხურების რაოდენობა. გაზრდილია ლიფტის შახტის სიგრძე. „C-A" ფასადი: დამატებულია სავენტილაციო ხვრელი და წყალსაწრეტი მილი. „A-C" ფასადი: ±0.00 ნიშნულზე გაუქმებულია ფრამუგები, ნაწილობრივ შეცვლილია ვიტრაჟების გაბარიტი და ნახატი. მონაცვლებულია კარების მდებარეობა და ნაწილობრივ შეცვლილია გაბარიტი. ფასადი „2-1": ±0.00 ნიშნულზე „2" ღერძთან დამატებულია ღიობი, +14.20 ნიშნულზე შესალესია და შესაღებია ფასადი. -2.40 ნიშნული: „1" და „ც" ღერძების კვეთასთან ლიფტის შახტის ძირი შევსებულია კაპიტალური კედლით. +14.20 ნიშნული: დამატებულია რიგელები და კოლონები. „B-C" მონაკვეთში მონაცვლებულია კედლის მდებარეობა და შეცვლილია ფორმა. ჭრილი 2-2: +4.30 ნიშნულზე და სემოთ დამატებით მოწყობილია სურსათის ლიფტი.

2019 წლის 23 ოქტომბერს, საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის „ზ" პუნქტის საფუძველზე, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000661 „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ." საქმეშია, მხარის 2019 წლის 17 ოქტომბრის №10/01192902338-17 განცხადება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შ.პ.ს. „FRANCE-PLAST"-ის მიერ, ჩადენილია საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის „ა" პუნქტის „ა.ბ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ ქ. თბილისში, სანდრო ეულის ქუჩისა და ვაჟა-ფშაველას გამზირის გადაკვეთის მიმდებარედ (ნაკვეთი №7/15), ს/კ №01.14.05.007.015-ზე, განხორციელდა კომერციული ობიექტის (ოფისები, კაფეტერია) მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 3 აპრილის №1820703 ბრძანებით (№3974315 22.05.2018წ.) შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის „ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" პუნქტის „ა.ბ." ქვეპუნქტით,

დავადგინე:

1. შ.პ.ს. „FRANCE-PLAST" დაჯარიმდეს 10 000 (ათიათასი) ლარით, პროექტის დარღვევით III კლასის შენობა-ნაგებობის (კომერციული ობიექტი (ოფისები, კაფეტერია)) მშენებლობისათვის.

2. შ.პ.ს. „FRANCE-PLAST"-ს დაევალოს, საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში: საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263,** გადახდის დანიშნულება: დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. „FRANCE-PLAST"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, „დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო

ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დამრღვევს დაერიცხება საურავი დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობის თანხით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (ქ. თბილისში, შარტავას ქ. №7).

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური
ინსპექცია

თბილისი, 0160, შარტავას ქ. 7 ტელ: 2378501, 2378396

შემოწმების აქტი № 000661

(სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ)

შედგენის თარიღი: 23.10.19

საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“ 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის თანახმად, სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების შემოწმების აქტის შედგენით იწყება შემდეგი შემთხვევის გამო:

ა) მშენებლობის დემონტაჟის დაუყოვნებლივ შეჩერების შესახებ დადგენილების მიღებისას;

ბ) მშენებლობის შეჩერების შესახებ სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს დადგენილების შეუსრულებლობისას;

გ) დამრღვევისთვის საურავის შესახებ დადგენილების მიღებისას;

დ) დამრღვევის საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობის თანხით დაჯარიმებისას;

ე) საეტაპო ოქმის დადგენილი წესით წარუდგენლობისას;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში მშენებლობადამთავრებული ობიექტის ექსპლუატაციაში მისაღებად განცხადების წარმოუდგენლობისას;

ზ) თუ დამრღვევი განცხადების საფუძველზე აღიარებს სამშენებლო ობიექტზე არსებულ დარღვევებს და ითხოვს კანონით დადგენილი ზომების გატარებას;

თ) სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების პროცესში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს მიერ სამშენებლო ობიექტებზე არსებული დარღვევების გამოსწორების მიზნით გაცემული რეკომენდაციის შეუსრულებლობისას;

ი) მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევისას.

დამრღვევის დასახელება და მისამართი: შპს FRANCE-PLAST 416401953748
ქ. თბილისი, ელდარ ხალვაში დასახლება კ/ნ 18/20

ობიექტის დასახელება და მისამართი: ~~ვილისტრაციული ობიექტი (ოფისი, სასტუმრო)~~
ქ. თბილისი, სანზონა ეკლის ქუჩის და ვაჟა-ფშაველის
გამზირის გადაკვეთაზე (ს/კ კოდი 01.14.05.007.015)

შემოწმებით დადგინდა: ტერიტორია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 11-ე
ქუჩა თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №18203103
03.04.15წ [illegible]

შემოწმების აქტის შემდგენი (თანამდებობა, სახელი, გვარი, ხელმოწერა):

შემოწმების აქტი ჩაიბარა (სახელი, გვარი, მიღების თარიღი, ხელმოწერა):

თუ ვერ ხერხდება მხარისათვის შემოწმების აქტის გაცნობა (პირადად ჩაბარება), გაცნობად (ჩაბარებად) ჩაითვალოს მათი განთავსება შემოწმების აქტში მითითებული ობიექტის თვალსაჩინო ადგილზე („პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ" საქართველოს კოდექსის 25-ე მუხლის მე-19 ნაწილი).

შემოწმების აქტი გაეცნო (ჩაბარდა) დამრღვევს, თვალსაჩინო ადგილზე განთავსების გზით. (ზუსტად მიეთითოს თვალსაჩინო ადგილი).

განთავსების თარიღი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია

№ ბ-22/01191333768-17

"23" 07. 2019 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი – ვაკე, სანდრო ეულის ქუჩისა და ვაჟა–ფშაველას გამზირის გადაკვეთის მიმდებარედ (საკ. კოდი №01.14.05.007.015) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (კომერციული ობიექტი (ოფისები, კაფეტერია) - III კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №1820703 03.04.2015წ.
მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №39 74315 22.05.2018წ.

ქ. თბილისში, სექტორი – ვაკე, სანდრო ეულის ქუჩისა და ვაჟა–ფშაველას გამზირის გადაკვეთის მიმდებარედ (საკ. კოდი №01.14.05.007.015) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ნაწილობრივ შეცვლილია ტერიტორიის კეთილმოწყობა, ტერიტორიაზე მოწყობილი მოპირკეთებული ფილა ნაწილობრივ სცდება საკადასტრო საზღვარს. საპროექტო ნახაზში მონოლითური კედლები არ არის აღნიშნული განსხვავებული დაფერვით. ნაწილობრივ შეცვლილია ფასადების მოპირკეთება, მასალა და ფერი. კიბის უჯრედში ნაწილობრივ შეცვლილია საფეხურების რაოდენობა. გაზრდილია ლიფტის შახტის სიგრძე.
"C-A" ფასადი: დამატებულია სავენტილაციო ხვრელი და წყალსაწრეტი მილი.
"A-C" ფასადი: ±0.00 ნიშნულზე გაუქმებულია ფრამუგები, ნაწილობრივ შეცვლილია ვიტრაჟების გაბარიტი და ნახატი. მონაცვლებულია კარების მდებარეობა და ნაწილობრივ შევლილია გაბარიტი.
ფასადი "2-1": ±0.00 ნიშნულზე "2" ღერზთან დამატებულია ღიობი, +14.20 ნიშნულზე შესალესია და შესაღები ფასადი.
-2.40 ნიშნული: "1" და "ც" ღერძების კვეთასთან ლიფტის შახტის ძირი შევსებულია კაპიტალური კედლით.
+14.20 ნიშნული: დამატებულია რიგელები და კოლონები. "B-C" მონაკვეთში მონაცვლებულია კედლის მდეარეობა და შეცვლილია ფორმა.
ჭრილი 2-2: +4.30 ნიშნულზე და ზემოთ დამატებით მოწყობილია სურსათის ლიფტი.

საქ. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 თავის, ამავე კოდექსის 83-ე და 177-ე მუხლების, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 62-ე მუხლის, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №28-94 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შ.პ.ს. „FRANCE-PLAST"-ს, ქ. თბილისში, სექტორი – ვაკე, სანდრო ეულის ქუჩისა და ვაჟა–ფშაველას გამზირის გადაკვეთის მიმდებარედ (საკ. კოდი №01.14.05.007.015)

მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტი (კომერციული ობიექტის (ოფისები, კაფეტერია) - III კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №22/01191333768-17 13.05.2019წ. №22/01191372958-17 17.05.2019წ. და №22/01191473793-17 27.05.2019წ. განცხადებები.
№წ-22/011914473793-17 28.05.2019წ. ბრძანება.

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: **პ/5991797**
თარიღი: **11/11/2020**
პინი: **####**

ადრესატი: ავთანდილ მაღრაძე
პირადი ნომერი: 01009014395
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძის ქუჩა, N 43

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

თქვენი N22/01202672735-17 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ინსპექციის 23.07.2019წ. Nბ-22/01191333768-17 ბრძანებაში მითითებული დარღვევა ,,ტერიტორიაზე მოწყობილი მოპირკეთებული ფილა ნაწილობრივ ცდება საკადასტრო საზღვარს" გამოსწორებულია (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს გადაწყვეტილება QN1759020 27.07.2020წ.).

პატივისცემით,

ლევან ჯღარკავა

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (მუნიციპალური ინსპექციის უფროსი)

საგადასახადო დავალება
Payment Order

1

GEL

ს.ს. „თიბისი ბანკი“

თარიღი / Date: 29/11/2019

გადამხდელი / sender

ავთანდილ მაღრაძე, 01009014395

გადამხდელის ანგარიში / Sender's Account GE44TB7623145064300006

გადამხდელის ბანკი / Sender's bank

სს თიბისი ბანკი

ბანკის კოდი / Bank Code

TBCBGE22

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
inforamtion on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name *შპს FRANCE-PLAST*

საიდენთიფიკაციო კოდი / Sender"s Tax Code 401953748

მიმღები / Receiver

ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc. /Treasury Code 300773263

მიმღები ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

ბანკის კოდი / Bank Code

TRESGE22

გადახდის დანიშნულება / Operation Details

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო

დამატებითი ინფორმაცია / Additional information

დადგენილების N 000661 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე

ხელმოწერები
Signatures

ბ.ა.

რეფერენსი / Ref. Num.

3030966613

თანხა / Amount

10,000.00 GEL

თანხა სიტყვიერად
Amount in words

ათი ათასი ლარი 00 თეთრი

გადარიცხვის საკომისიო
Transfer Fee

7 GEL

ბანკში საგადახდო დავალების მიღების/წარდგენის თარიღი/Document submission/receiving date

29/11/2019

ხელმოწერა
Signature

შტამპის ადგილი

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს თიბისი ბანკის ფილიალებსა და ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.საგადახდო დავალების საკომისიოს დათვლის პრინციპი შეგიძლიათ იხილოთ ბანკის ინტერნეტ გვერდზე: www.tbcbank.ge

№000661 შემოწმების აქტის დანართი (დანართი ერთი ფურცელი)

ნაწილობრივ შეცვლილია ტერიტორიის კეთილმოწყობა, ტერიტორიაზე მოწყობილი მოპირკეთებული ფილა ნაწილობრივ სცდება საკადასტრო საზღვარს. საპროექტო ნახაზში მონოლითური კედლები არ არის აღნიშნული განსხვავებული დაფერვით. ნაწილობრივ შეცვლილია ფასადების მოპირკეთება, მასალა და ფერი. კიბის უჯრედში ნაწილობრივ შეცვლილია საფეხურების რაოდენობა. გაზრდილია ლიფტის შახტის სიგრძე.

"C-A" ფასადი: დამატებულია სავენტილაციო ხვრელი და წყალსაწრეტი მილი.

"A-C" ფასადი: ±0.00 ნიშნულზე გაუქმებულია ფრამუგები, ნაწილობრივ შეცვლილია ვიტრაჟების გაბარიტი და ნახატი. მონაცვლებულია კარების მდებარეობა და ნაწილობრივ შევლილია გაბარიტი.

ფასადი "2-1": ±0.00 ნიშნულზე "2" ღერზთან დამატებულია ღიობი, +14.20 ნიშნულზე შესალესია და შესაღები ფასადი.

-2.40 ნიშნული: "1" და "ც" ღერძების კვეთასთან ლიფტის შახტის ძირი შევსებულია კაპიტალური კედლით.

+14.20 ნიშნული: დამატებულია რიგელები და კოლონები. "B-C" მონაკვეთში მონაცვლებულია კედლის მდეარეობა და შეცვლილია ფორმა.

ჭრილი 2-2: +4.30 ნიშნულზე და ზემოთ დამატებით მოწყობილია სურსათის ლიფტი.

უფროსი სპეციალისტი /ა. თევდორაძე/